



# საქართველოს ქორეოგრაფთა და ახალგაზრდული ფესტივალი „კავკასია-2016“

ბაგოძის 1992 წლის იანვრიდან

№14 (60), ივნისი-ივლისი 2016 წელი

ქორეოლოგია — ქორეოგრაფია — საზოგადოება **ფასი 2 ლარი**

**საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი**  
**GEORGIAN UNION OF CHOREOGRAPHERS**  
**ფოლკლორის (ქორეოგრაფიული) საერთაშორისო საბავშვო**  
**და ახალგაზრდული ფესტივალი „კავკასია-2016“**  
**INTERNATIONAL FOLKLORE (CHOREOGRAPHIC)**  
**CHILDREN AND YOUTH FESTIVAL – CAUCASUS 2016**

საქართველოს  
ქორეოგრაფთა კავშირი

**ივნისი-2016**

**ფოლკლორის (ქორეოგრაფიული)**  
**საერთაშორისო საბავშვო**  
**და ახალგაზრდული ფესტივალი**  
**„კავკასია-2016“**

**ფოთი - 2 ივლისი** ვალაჰის სენბრალური პარკი

**ოზურგეთი - 3 ივლისი** სახელმწიფო დრამატული თეატრი

**ქობულეთი - 4 ივლისი** ქობულეთის კულტურის პარკი

**გათუბი - 5 ივლისი** გათუბის სკოლის და მუსიკის ცენტრი

**გათუბი - 6 ივლისი** მჭარის სივლიანისა და მკვირის სახელმწიფო  
პარკის ახალგაზრდული ცენტრი

**ლანჩხუთი - 7 ივლისი** ბაღა კონცერტი  
ლანჩხუთის კულტურის ცენტრი



## მისაღობა

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის გეგმით მიხედვით საქართველოში ქორეოგრაფიული ფესტივალი „კავკასია-2016“-ის მინაწილეობს.

კავშირის გამგეობა და ადმინისტრაცია უდიდეს პატივს მიაგნებს გამომწვევებს იმასთან დაკავშირებით, რომ ფესტივალში მინაწილეობის მისაღობად საქართველოში ჩამოვიდნენ შორეული და ახლო ქვეყნების საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული კოლექტივები. მათ გვრძობით თავიანთ შემოქმედებით მიღწევებს წარმოაჩინონ ადგილობრივი ანსამბლები.


დაწმენილნი ვართ, ფესტივალში ჩემო-მართლაც მინაწილეობისა და ურთიერთგაგების აცხადებთ ჩადგლის, იგი გაამდიდრებს მინაწილე კოლექტივების ბუნებრივ, გააფრთხილებს მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს და ახალ იმპულსს მისცემს მინაწილე ურთიერთობებს.

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი



# ქორეოგრაფიული ხელშეწყობა მოზარდის ფიზიკური და სულიერი განვითარების საშუალებები

## რედაქტორის გვერდი



უკეთესი მომავლის, ბედნიერი ხვალის-დედის, შვილებისა და შვილიშვილებისათვის გაუმჯობესებულ-გაკეთილშობილებული საცხოვრებელი გარემოს შექმნისა და დატოვების იდეა მუდამ საოცნებო იყო ადამიანთა მოდერნიზაციის პროგრესული ნაწილისათვის, სხვადასხვა ერისა თუ ეთნოსის საუკეთესო წარმომადგენლებისათვის.

აღნიშნული იდეის რეალიზების გზების ძიებისას ნათლად გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ ხვალისდელი დღის წარმავლების, მისი უზრუნველყოფის გარანტია მომავალი თაობების სწავლების, მათი განათლებისა და აღზრდის სისტემის სიჯანსაღე, გამართულობა, მარადგანახლებადი ბუნება და წარმატებულობა გვევლინება. აღნიშნული სტრატეგიული ამოცანის სიჯანსაღე თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს დღესაც და, ვფიქრობთ, სამომავლოდაც მისი აქტუალობა ეჭვქვეშ ვერ დადგება.

თვით იმ რანგის ამორფულ და სახეგადარეცხილ ზნეობრივ-საზოგადოებრივ ყოფაში, როგორშიც დღეს ე.წ. გლობალიზებული ცივილიზაციის გავლენით დაღდასმული მსოფლიო, განსაკუთრებით მისი ე.წ. ევროატლანტიკური სივრცე იმყოფება, ახალგაზრდობაზე საზოგადოებრივი ზრუნვის აუცილებლობას ეჭვქვეშ ვერავინ აყენებს. აღნიშნულ სივრცეზე, ჩვენის მხრივ, ყურადღების გამახვილება იმითაა განპირობებული, რომ საქართველო რეალურად მის სტრატეგიულ, სოციალურ და პოლიტიკურ შემადგენელ ნაწილად იქცა და დღევანდელ დონეზე სწორედ იმ იდეებისადმი, იმ იდეალებისადმი ერთგულებას იჩენს, რომელიც აქაა გაბატონებულ-დაკანონებული. არადა, თავისი ბუნებით ეს არეალი სპეციფიკური სივრცეა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად იმ-აშიც გამოიხატა, რომ უაღრესად მასშტაბური წარმატებების გვერდით განჩნდა და გასაოცარ პოპულარობას მიაღწია აღვირახსნილობამდე მისულმა ე.წ. „თავისუფლების“ იდეებმა, დემოკრატიის საფარქვეშ შეყუყულმა გასაოცარმა ტოტალიტარიზმმა, ადამიანის ზნეობრივმა დაცემამ, საზღვრებში მოძარცვულმა სიმშვიდის კულტურამ, ვითომკულტურულ-ამ, ვითომხელოვნებამ, ვითომკანონებებამ, ვითომტოლერანტიზმმა, ყბადაღებულმა, თანაც თვითმიზნად ქვეულმა გენდერმა და სხვა მსგავსმა მოვლენებმა. ნამდვილად ძნელია ახსნა მოუძებნო ისეთ პარადოქსულ სიტუაციას, როდესაც გონივრულად ორგანიზებული საგანმანათლებლო სისტემის მეოხებით ევროატლანტიკური სივრცის ადამიანი ითვისებს კოსმოსს, ჩადის ოკეანის ფსკერზე, ქმნის ინფორმაციის გასაოცარ ტექნოლოგიებს და ამავდროულად ყოველდღიური ქცევა-საქმიანობით თუ მორალურ-ზნეობრივი მიზანსწრაფულობით უდიდესი სიამოვნებით მიელტვის გამოქვაბულში მცხოვრები უმოკრესი წინაპრების ეთიკურ სამყაროს, ტრადიციების უგულვებელყოფას, პორნოკულტს, რელიგიურ ნიჰილიზმს, ათასნაირ სექტანტობას, სულიერ გამოფიტვას და მისით მოტანილ შედეგებს. ძნელია

იმის პროგნოზირება თუ რა საბოლოო შედეგებით შეიძლება დასრულდეს აღნიშნული პროცესები. ოსკალდ შპენგლერი ჯერ კიდევ XX ს-ის დამდეგს მიანიშნებდა „ევროპის დაისზე“. იმ ეტაპისათვის ეს იყო ჭკვიანი კაცის, ფაქტებსა და მოვლენებზე მიყურადებული ანალიტიკოსის პროგნოზი, რომელსაც დღევანდელი მოაზროვნენი, ვინც საკუთარი თვალთი იხილა აზიიდან, აფრიკიდან, მახლობელი აღმოსავლეთის არაბული სამყაროდან, თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრციდან ბოლო დროს მიგრირებული ადამიანების მრავალათასიანი კოლონები, იმასდა ამატებენ, რომ უახლოეს 50 წელში ევროპის თეთრი რასის ფიზიკური ჰაბიტუსი და ღირებულებითი სამყარო მხოლოდდა ხელოვნების ნაწარმოებებში თუ საოჯახო ალბომებში დარჩება გადარჩენილ-შემონახული.

იქნებ ზედმეტად აპოკალიპტიური მსჯელობა გამოგვდის, მაგრამ კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რაოდენ მართალს ბრძანებდა დიდი ილია: ნებისმიერი ერის წარყვანა, მისი გათახსირება სწორედ იმ დღიდან იწყება, როდესაც იგი საკუთარ ისტორიას ივიწყებს... დი-ალაც, რომ ასეა! ისტორიის მიერ შენამდე მოტანილი სამყაროსაგან ზურგი დადგომა და მისი დავიწყება, არსებითად ტრადიციის, წინაპრების, უფროს-უმცროსობის, წესისა თუ სხვათა ნაღვანის არადგანდებასაც ნიშნავს. ამით კი გამოდის, რომ უარს ამბობს საკუთარ მენტალობაზე, მხოლოდ შენთვის დამახასიათებელი ცნობიერების ტიპზე, უარყოფ საგან-მოვლენათა სიმბოლურ ხატებას, მათში განიფთხებულ საკრალურ აზრებს, განწყობა-ღირებულებებს, ებრძვი საკუთარ არაცნობიერს და საბოლოოდ ხდება კოსმომოლიტი, რაღაც გარდამავალი არსება, რომელიც ერთი ხალხური ლექსისა არ იყოს, არც ამ ქვეყნად ენახება ვინმეს და არც იმ ქვეყნად დანატრიან მის გამორჩენას.

ახლა ჩვენ, რომ აღნიშნულ მსჯელობას გავეყვით, ამისათვის არც დრო გვექნება და არც საგაზეთო ფორმატი გამოგვადგება. ამიტომ იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რომ ტრადიცია, განსაკუთრებით მისი ჯანსაღი ნაწილი, თვითმყოფადი ეროვნული კულტურა, რაც ჩვენ სხვებისაგან გამოგვარჩევს, უძვირფასესი ფოლკლორული მემკვიდრეობა, რომელსაც მართლაც ძნელად თუ უპოვი ტოლ-სწორს, არა მარტო უნდა შევინარჩუნოთ, არამედ ახალგაზრდობის სწავლება-განათლებისა და აღზრდის სამსახურშიც უფრო მასშტაბურად ჩავრთოთ. ამით გადარჩება წარსულიც, გაძლიერდება დღევანდელიც და უზრუნველყოფილ იქნება მომავალი.

ძვირფასო მკითხველო! ახალს, ბუნებრივია არაფერს ვიტყვი, თუ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება, ფოლკლორის სხვა დარგებთან ერთად, ჩვენი ეროვნული სიმდიდრე, სიამაყე და სიკეთის მოფენის უღვივი წყაროა.

ქართული ცეკვა, მისი სასცენო სახიერება გართობის დონის თავშესაქცევი არ არის. იგი ქართული მენტალიტეტის ერთ-ერთი საფუძველია, ამავდროულად სამხედრო-ფიზიკური სამზადისიცაა, ფიზიკური კულტურაცაა, ეს-თეტიზმის უშრეტი წყაროა და ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ტყუილად როდი უკავშირებდა გრიგოლ რობაქიძე ქართულ როკვას ეროვნულობას, რასის თვისობრიობას. ამამი ღრმა საკრალური აზრი ძვეს და მისი უყურადღებოდ დატოვება დაუშვებელია.

დრომ, ცხოვრების შეუჩერებელმა მდინარებამ ნათლად აჩვენა, რომ წინაპრების მიერ დატოვებული ეროვნული სიმდიდრის, მათ შორის ქორეოგრაფიული ხელოვნების გადარჩენა-განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა არის არა მარტო სამუხეუმო პირობები, არა კონსერვაცია და წარსულისადმი ნოსტალგია თუ მისით ტყობა, არამედ უპირველეს ყოვლისა აქტიური სასცენო

მოღვაწეობაში ხელოვნების ამ დარგის სისტემური ჩართვა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სასწავლო-ალმზრდელით საქმიანობაში ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების ფართოდ დანერგვა-გამოყენება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების გადარჩენის ერთ-ერთი მაგისტრალური გზა და, შესაბამისად, ეროვნული პოტენციალის რეალიზების პერსპექტივა, ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრების თუ სკოლის გარეშე სასწავლო-ალმზრდელით მუშაობაში მის ჩართვა-გამოყენებაზე გადის. რაც უფრო მეტი მოზარდი დაეუფლება ცეკვის ურთულეს და უფაქიზეს შინაგან სამყაროს, მით მეტად გაფართოვდება მისი, როგორც ხელოვნების დარგის ასპარეზი. მეორე მხრივ, ამგვარი რაოდენობრიობა არა მარტო საალმზრდელი თვისობრიობაზე იქონიებს სასურველ ზეგავლენას, არამედ საერთო კულტურული პროგრესის ერთ-ერთი გარანტი და მამოძრავებელი ძალაც გახდება.

ეს სიტყვები ხმამაღლა და ლიტონ განცხადებად არ მოგვეჩვენება თუ კი სათანადოდ გავიაზრებთ ეპოქის ზემოთნაჩვენებ კონკრეტულ კონტექსტს და იმ გლობალურ ამოცანებს, რომელიც მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდასთან დაკავშირებით უნდა გადაჭრას ჩვენმა ქვეყანამ. აღნიშნული საკითხი მუდამ რთულსა და ძნელად მოსაგვარებელ პრობლემას წარმოადგენდა, მაგრამ განსაკუთრებული სირთულე მან შეიძინა დღეს, ეპოქათა მოახლოებულ გზაგასაყარზე და თანაც ისეთ ამორფულ, გაურკვეველ საზოგადოებრივ მდგომარეობაში, რომელშიდაც ჩვენი ქვეყანა იმყოფება. ჯერჯერობით ვერ ჩამოყალიბდა, და როგორც ჩანს, კარგა ხანს ვერც ჩამოყალიბდება სახელმწიფო საგანმანათლებლო სტრატეგია, რასაც, დღევანდელ ეტაპზე ბუნებრივად მიყვებართ იმ მდგომარეობამდე, რომ ვერ გაგვირკვევია რა ტიპის საგანმანათლებლო სამყარო გვჭირდება, რა უნდა ვასწავლოთ, რა პროფილის სპეციალისტი მოვამზადოთ. ზოგადი, გლობალური ორიენტირის ალება XXI საუკუნის მოსალოდნელ რეალიზებზე, ევროპულ, ამერიკულ თუ აზიურ ცივილიზაციებზე, საუბარი კონკრეტულ მუშაობაში, არსებითად არაფრის მომცემია და გაურკვეველობაში ყოფნას ახანგრძლივებს, იგი თვითდინებით სელის ტენდენციას აღრმავებს. ამას ემატება უიდეოლოგია (იდეოლოგიის არარსებობა იდეოლოგია), ყოფნისა თუ ცხოვრებისაკენ სწრაფის კოსმოპოლიტიური ტენდენცია, რომელიც ამ ბოლო დროს სულ უფრო ძლიერდება. სამწუხაროდ, ჩვენ ყოველთვის როდი ვუნებთ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ჩვენი თვითმყოფადობის იდეოლოგიური დასაბუთების, იდეოლოგიური ურსპექტივის გარეშე დატოვება, სწორედ იმითი იდეოლოგიაა, ვისგანაც იდეოლოგიის გარეშე, ცხოვრების მიზანშეწონილების გლობალური თეორიები მოედინება.

ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ ცივილიზაციის მონსტრი ფართოდ სახიფათო მოვლენა და მასთან მიმართებაში რიცხვმცირე ერებს ძალიან დიდი სიფრთხილის გამოჩენა მართებთ. გადარჩენის ერთ-ერთ იმედს მათთვის კულტურა და მისით დამკვიდრებულ-დაკრისტალებული მაღალი ესთეტიკური ღირებულებები წარმოადგენს.

სიცოცხლის საზრისის დიალექტიკის, მისი შინაგანი ფარული ძალის მეოხებით საყოველთაო კრიზისის ეპოქებში ერის თვითგადარჩენის იმპულსი თუ ინსტიქტი იღვიძებს და მძაფრდება. მარად ცოცხალი ისტორიული მესიერება ჯერ ქვეშეცნულად, შემდეგ მაღალი ცნობიერების დონეზე ეძებს, იხსენებს და აღადგენს შინაგან საყრდენებს, სავალ გზებს, ირჩევს ისეთს, რომელიც საკუთარ ორიენტაზე ყოფნას შეუნარჩუნებს და უფრო მაღალი მწვერვალებისაკენ სვლაშიც დაეხმარება. ერთ-ერთი ასეთი საყრდენთაგანია, სწორედ, ეროვნული მეოხის საუკეთესო

სო გამოხატველი ხელოვნების ტრადიციული დარგები: ქორეოგრაფია, მუსიკალური და პოეტური ფოლკლორი, აგრეთვე ყოფა, წესჩვეულებები. ამიტომაცაა აუცილებელი მათი მოვლა-შენახვა, შესწავლა და ახალი თაობებისათვის გადაცემა. აი, აქ კი ჩვენ საკმაოდ ბევრი პრობლემა გავგაჩნია და ამდენად, ბუნებრივია, ზოგადად მაინც უნდა შევეხოთ იმ საკითხებს, რომელიც ქორეოგრაფიული ხელოვნების საშუალებით ახალგაზრდობის აღზრდასთანაა დაკავშირებული. თავისთავად ცხადია, რომ თვით ეს საკითხი საერთო სოციალური პრობლემებისაგან მოწყვეტილ ვერ განიხილება, რადგან ცხოვრებაში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ერთიმეორეს აკვებს და აპირობებს. მომავალი თაობის სწავლებისა და აღზრდის საკითხები კი ის ფოკუსია, სადაც მთელი სისასხით იყრის თავს სოციალურ ყოფაში კონდენსირებული სიძნელეების ყველა არსებითი მახასიათებელი. გარდა ამისა აღზრდის პროცესს თავისი შინაგანი სირთულეები და ნახნაგებები გააჩნია. ესეც გასათვალისწინებელი და ანგარიშში ჩასაგდებაა.

ელემენტარული დაკვირვებაც კი ნათლად წარმოაჩენს თუ როგორი სწრაფი და მასშტაბურია მეცნიერული აზრის განვითარების სადღეისო დონე. თითქმის ნებისმიერი მიმართულებით მეცნიერების დარგებში 8-10 წლის განმავლობაში გროვდება იმდენი ახალი ცოდნა, რაც დასაბამიდან დღემდე იყო გაკეთებული. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს თან ახლავს მრავალფეროვანი ინფორმაცია, რაც მართალია, დიდად უწყობს ხელს ბავშვისა და მოზარდის საერთო გონებრივი ჰორიზონტის განვითარებას, მაგრამ ამკარაა, მისი უარყოფითი როლიც. ეს იმამი გამოიხატება, რომ მოზარდებმა შეწყვიტეს წიგნის კითხვა, ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვებაზე ზრუნვა. ეს ფაქტი, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს საერთო გონებრივი და ესთეტიკური განვითარების პროცესებზე. სამწუხაროდ საინფორმაციო საშუალებებთან მოზარდის კონტაქტი ზედაპირული გართობის დონეს აღარ სცილდება. ეს პროცესები კი მიმდინარეობს აქსელერაციის მზარდი ტენდენციის ფონზე. განსაკუთრებით დარქარდა გარდამავალი ასაკის განვითარების პროცესი (გოგონებში 1.5-2.5 წლით, ბიჭებში 1.5-2 წლით), რის გამოც შეიცვალა თანამედროვე ბავშვის ფსიქო-ფიზიკური თავისებურებანი. ეს კი პედაგოგებს ახალი, გართულებული ამოცანების წინაშე აყენებს, აშკარა ხდება, რომ თუნდაც 10-15 წლის წინანდელი ხერხები, მეთოდები, საშუალებები, ურთიერთობის წესები, სადღეისოდ უკვე გამოუსადეგარია. დრო თავისას ითხოვს და მას ანგარიშში უნდა გაუწიოს. ამ მხრივ გამოწვევის ვერავინ იქნება, მით უფრო ის პედაგოგები, რომელთაც ქორეოგრაფიული ხელოვნების სწავლებაზე აქვთ პრეტენზია და პრაქტიკულადაც მისდევენ ამ საქმეს.

ცნობილია, რომ ახალგაზრდობის აღზრდაში ქორეოგრაფიული ხელოვნების გამოყენებას როგორც საკუთრივ ზოგად-ალმზრდელით, ასევე პროფესიული და გამაჯანსაღებელი მნიშვნელობაც აქვს. მისი უპირველესი და უმთავრესი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს მოზარდთა ყოველმხრივ ჰარმონიულ ფიზიკურ და სულიერ განვითარებას, მათი ჯანმრთელობის განმტკიცებას, მომავალი შრომითი თუ პროფესიული საქმიანობისათვის მომზადებას. ქორეოგრაფიული სავარჯიშოები ხელს უწყობს მოძრაობის კოორდინაციას, სისწრაფის, ამტანობის, მოხერხებულობის, ძალის, მოქნილობის, გამბედაობის, კოლექტივიზმის გრძობის ჩამოყალიბებას, საერთო ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ-ესთეტიკურ განვითარებას. როგორც ვხედავთ ქორეოგრაფიული ხელოვნების სწავლების პროცესის წინაშე საკმაოდ სერიოზული ამოცანები დგას. მათი მიღწევა კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი



# ფოლკლორის (ქორეოგრაფიული) საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალი „კავკასია-2016“

## 1-10 ივლისი — საერთაშორისო ფესტივალი „კავკასია-2016“. ფესტივალის დღის წესრიგი:

### I ივლისი, ქ. ქობულეთი

• ფესტივალის მონაწილე დელეგაციების ჩამოსვლა და დაბინავება.

### II ივლისი — ქალაქი ფოთი

• დელეგაციების ხელმძღვანელთა მიღება თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიაში;

• 16.00 – ფესტივალის გახსნა ქ. ფოთი. ალუმის გამართვა;

• 17.00 – საფესტივალო კონცერტი;

• 20.00 – საზეიმო ფოიერვერკი.

### III. 3 ივლისი — ქალაქი ბათუმი

• 11.00 – 15.00 – სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია;

• 16.00 – 18.00 – მასტერ-კლასი;

### IV. 4 ივლისი — ქალაქი ქობულეთი

• 11-17.00-საფესტივალო კონცერტი ქობულეთის კულტურისა და დასვენების პარკში.

### V. 5 ივლისი — ქალაქი ბათუმი

• 10-12 ექსკურსია;

• 12.00- დელეგაციების ხელმძღვანელთა მიღება ა.რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში;

• 13.00-ქ. ბათუმში ალუმის გამართვა;

• 14-20 კონცერტი ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში

### VI. 6 ივლისი — ქალაქი ბათუმი

• 11-20 – კონცერტი აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის საკონცერტო დარბაზში.

### VII. 7 ივლისი — ქალაქი ლანჩხუთი

• დელეგაციათა ხელმძღვანელების მიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში;

• 11.00 – ექსკურსია;

• 13.00 – ქალაქ ლანჩხუთში ალუმის გამართვა;

• 15.00- 20.00 – გალა კონცერტი და დაჯილდოება ლანჩხუთის კულტურის ცენტრში.

### VIII. 8 ივლისი

• 11.00 – 15.00 – სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია;

• 16.00 – 18.00 – მასტერ-კლასი;

### IX. 9 ივლისი

• 11.00 – 15.00 – სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია;

• 16.00 – 18.00 – მასტერ-კლასი;

### X. 10 ივლისი

• თავისუფალი დღე – ექსკურსიები, ფოიერვერკები, ბანკეტი.

ყოველ წელიწადს „ორა იერუსალიმი“ წარმოადგენს ქვეყანას ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამართულ ღონისძიებებზე და მონაწილეობს მსოფლიოს გარშემო გამართულ ოფიციალურ ფესტივალებში.

„ორა იერუსალიმი“ ანსამბლი დაჯილდოებულია მექსიკის „მშვიდობის მედლით“, მონაწილეობა აქვს მიღებული ფესტივალებში ტაილანდში, ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ესპანეთსა და ჩინეთის ქალაქ შანხაიში გამართულ „EXPO 2010“-ზე, ნიგერიის ქალაქ აბუჯაში, ბუდაპეშტში, ნიუ-იორკში გამართულ ფესტივალებზე.

ჩვენ საკუთარ თავს ჩვენი ქვეყნის ელჩებად ვთვლით და ყველგან, სადაც სტუმრად ჩავდივართ თან ჩავგაქვს ერთობის და მშვიდობის გზავნილი და ღრმად გვჯერა, რომ ცეკვა საერთაშორისო ენაა, რომელსაც მთელი მსოფლიოს გაერთიანება შეუძლია.



ჰარელ იტშაკი,  
ჯგუფის მენეჯერი



### DEAR FRIENDS.

Hora Jerusalem ensembles are the pioneers folklore ensembles in Israel.

For the last 55 years, our association, used the best choreographers in Israel, and create a very wide and diverse performance repertoire.

The uniqueness of "Hora Jerusalem" dance troupes is in their ability to combine traditional repertoire and achieve the highest standards in all aspects of dance:

Choreography, Music, Song, Costume, Stage design and production.

"Hora Efrochim (chicks) Jerusalem" is the first and the best children troupe (ages 11-14) that was established in Israel and became a model for others children groups. About 50 top dancers are chosen out of hundreds applicants and perform Israeli folklore, ethnic dance and modern Israeli dance. From a young age the children learn to love and enjoy the Israeli folklore heritage and to per-

form it in high standard.

"Hora Jerusalem" is the representative dancing group of Jerusalem municipality and performs around the country in official events (The main ceremonies of the independence day in Har Herzl, president Bush's reception, welcoming diplomats from all over the world and more).

Every year "Hora Jerusalem" is invited to represent the country in official events by the Foreign Ministry and participates in official festivals around the world.

The troupe has won the "Peace medal" in Mexico, took part and performed around Thailand, England, Italy, France, Greece, Spain and were chosen by the Foreign Ministry to represent Israel in EXPO 2010 in Shanghai-China, and to perform in Abuja Nigeria, Budapest, New York city and more ...

We consider ourselves to be a type of ambassadors for our country, and everywhere we go we bring a message of togetherness and peace, and the belief that dance is an international language that can bring us all together.

HAREL ITSHAKI, GROUP MANAGER.



სკოლა-ინტერნატი „ხავატ ჰანოარ ჰაციონი“ დაარსდა 1949 წელს და მდებარეობს თანამედროვე იერუსალიმის ცენტრში. ჩვენი სკოლის სახელწოდება იერითიდან ითარგმნება როგორც „მოსწავლეთა ახალგაზრდული სინონისტური სოფელი“. სკოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სასწავლებლად ჩამოსულმა მოზარდებმა გაითავისონ და პატივი სცენ ებრაულ ტრადიციებს, ისრაელის სახელმწიფოს ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობას. ამასთანავე, სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ ჩამოყალიბებას როგორც პატიოსან, კეთილ, კაცთმოყვარე, პასუხისმგებელ, ჯანმრთელ და კულტურულად განვითარებულ ისრაელის მოქალაქეებად. ამ ყველაფრისთვის სკოლაში შექმნილია სათანადო პირობები: თანამედროვე სკოლა რჩეული პედ-კოლექტივითა და აღმზრდელებით, კლასგარეშე სასწავლო ცენტრით, მუსიკალურ-ფოკალური სკოლა, სხვადასხვა მიმდინარეობების ქორეოგრაფიული კოლექტივები, მრავალფეროვანი სპორტული სექციები, მაღალი დონის სპორტული მოედნებითა და ოლიმპიური საცურაო აუზით. „ხავატ ჰანოარის“ ერთ-ერთი ნამყვანი პროექტია ისრაელის ხალხური ცეკვების ანსამბლი. იგი დაკომპლექტებულია მხოლოდ ადგილობრივი მოსწავლეებით, რომელთა უმრავლესობას არ გააჩნია პროფესიონალური ქორეოგრაფიული განათლება.

მაღალკვალიფიციური ქორეოგრაფების დახმარებით ანსამბლი წლების განმავლობაში დიდი წარმატებით მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ცეკვის ფესტივალებზე. აღსანიშნავია, რომ კოლექტივს სათავეში უდგას საქართველოდან რეპატრირებული ქართველი ებრაელი პატიონი იური ბენ იოსეფი (იოსებამვილი).

2009 წლიდან ანსამბლს კურირებს საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი საცეკვაო კოლექტივი „ორა იერუსალიმი“ დავიდ და ჰარელ იტშაკების თავკაცობით. სწორედ ჰარელ იტშაკის საქართველოში ვიზიტისას გაჩნდა იდეა, რომ ჩვენი სკოლის ანსამბლს სამომავლოდ მიეღო მონაწილეობა საქართველოში დაგეგმილ ფესტივალებში. ამ იდეამ ხორცი შეისხა საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის წევრების გიორგი რუხაძისა და მამუკა გამისონიას სტუმრობისას ისრაელში.

ჩვენი დიდი პატივია ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება ისრაელის სახელით, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ ფესტივალის ორგანიზატორებსა და საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირს.

დიდი პატივისცემით  
დავით შარაქი  
„ხავატ ჰანოარ ჰაციონის“  
წარმომადგენელი





## ОБРАЗЦОВЫЙ КОЛЛЕКТИВ БАЛЕТ СИБИРИ «КАЛИНА»



Феерия звуков и красок, неповторимая динамика, мощнейшая энергетика, всплеск жизненной силы – всё это Балет Сибири «Калина» сегодня! Свой неповторимый, оригинальный стиль отличает «Калину» от других танцевальных коллективов. Коллектив отмечен высокими наградами городских, региональных, международных фестивалей и кон-



курсов, является лауреатом, обладателем гран-при в Испании, Франции, Германии, Чехии, Македонии. Концертная деятельность Балета Сибири «Калина» распространилась далеко за пределы России: в 2008 и 2012 годах с большим успехом прошли гастроли коллектива в Берлине (Германия), в 2009 и 2010 годах – в Ллорет-де-Маре (Испания). Вот уже 22 года бессменным руководителем коллектива является педагог высшей квалификационной категории Светлана Смоляк.



В 2009 году в городе Новосибирск была открыта школа грузинского танца, на базе которой осенью 2010 года был создан ансамбль грузинского народного танца «Имеди». Ансамбль участвует в различных городских, областных, региональных и международных фестивалях, где награждается почетными грамотами, дипломами. Руководитель ансамбля Шиомгвлишвили Гоча Шалвович является членом «Творческого союза деятелей хореографии Грузии», награжден в 2013 году орденом «Амагдари грузинской хореографии», а в 2015 году орденом «Сияние грузинской хореографии», за вклад в развитие хореографии Грузии за пределами страны.



В мае 2015 года ансамбль получил свидетельство о присвоении подтверждении звания «Народный (образцовый) самодеятельный коллектив».

Каждый год ансамбль проводит отчетный концерт, а в марте 2016 года, ансамбль Имеди провел сольный концерт с программой «В вихре грузинского танца»



Так же весной 2016 года ансамбль принял участие в Международном конкурсе-фестивале «Дорогою добра», в котором получил Гран При.

В апреле 2016 года, ансамбль принял участие в отборочном этапе Чемпионата России по народным танцам, где получил золотой диплом лауреата 1 степени, множество дипломов и благодарственных писем и стал обладателем Кубка Сибирского Федерального Округа. Финал чемпионата пройдет в городе Москва, в декабре 2016 года.

*На протяжении всего творческого пути коллектива бессменным руководителем является  
КАЗАНЦЕВА ДИНА ВИКТОРОВНА.*





## ფოლკლორული ცეკვის ანსამბლი „ვენტა“ FOLK DANCE GROUP VENTA



ფოლკლორული ცეკვის ანსამბლი „ვენტა“ მოღვაწეობს ლატვიის ქალაქ კულდიგაში. ქალაქი კულდიგა მსოფლიოში ცნობილია ევროპაში ყველაზე ფართო ჩანჩქერით და ყველაზე გრძელი ხიდით.

ანსამბლი „ვენტა“ დაარსების დღიდან ყოველთვის ცდილობს ლატვიური

ტრადიციების დაცვას და პოპულარიზაციას. ანსამბლის მიერ წარმოდგენილი ცეკვები ლატვიელების ყოველდღიურ ყოფაზე, სამუშაოზე და, რაც მთავარია, სიყვარულზეა აგებული.



ანსამბლის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ქალბატონი ზიტა სერდანტე ჯგუფს სათავეში 1998 წელს ჩაუდგა და დღეისათვის, მისი მოღვაწეობის შედეგად, „ვენტა“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და პროფესიონალური ანსამბლია ლატვიაში.

„ვენტას“ მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე საცეკვაო კონკურსსა და ფესტივალში ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ბალკანეთის ქვეყნებში და თურქეთში. ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალია ქალაქ რიგაში, ყოველ ხუთ წელიწადში ორგანიზებული „ლატვიის სიმღერისა და ცეკვის ახალგაზრდული ფესტივალი“, რომელშიც, როგორც წესი 35000 მოცეკვავემდე იღებს მონაწილეობას. გასულ წელს, საუკეთესო ცეკვისთვის

„ვენტა“ იმ რამდენიმე ანსამბლს შორის მოხვდა, რომლებმაც ფესტივალის საპატიო ლაურეატის წოდება მიიღეს.

The folk dance group Venta is from Kuldiga, Latvia. Our town is special for its widest waterfall and longest brick bridge in Europe.

Venta has always tried to keep up with Latvian traditions. Our dances are about Latvians' work, daily life, and all in all - love.

Zita Serdante became group leader in 1998. Since then, Zita Serdante has led Venta to become one of the most successful and skilled dance groups in Latvia.

Venta has taken part and won several competitions and festivals all over Europe, Balkan countries and Turkey. The most important festival for us is held in Riga, Latvia once in five years. It's called Latvian Youth Song and dance festival, where around 35 000 participants are performing. Last summer Venta was one of the few, who thanks to excellent performance got on laureate honor status.



## ანსამბლი «ჯავახკი»



მანძილზე მონაწილეობა მიღებული აქვს საქართველოში ჩატარებულ თითქმის ყველა ფესტივალში. საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირმა მიანიჭა „სანიმუშო“ ანსამბლის წოდება. საქართველოს გარდა „ჯავახკს“ ჩატარებული აქვს კონცერტები სომხეთში, რუსეთში, უნგრეთსა და სლოვენიაში.


დაახლოებით 1930 წლიდან ახალქალაქში ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი ფუნქციონირებს, ანსამბლი „ჯავახკი“ კი 2000 წლიდან ლამარა და ვალიკო ქსპოიანების ხელმძღვანელობით დაარსდა. ანსამბლის შემადგენლობაში შედის გუნდი, ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლი და ქორეოგრაფიული ჯგუფი, სულ შედგება 70-80 მონაწილისაგან. ფესტივალზე და გასვლით პროგრამებზე ძირითადად მონაწილეობს ქორეოგრაფიული



ჯგუფი, სადაც არის 30-40 მოცეკვავე. ანსამბლი დაყოფილია პატარების, საშუალო და უფროსი ასაკის ჯგუფებად. ანსამბლის რეპერტუარი შედგება სომხური, ქართული და სხვა ერების სიმღერებისა და ცეკვებისაგან. ანსამბლს თავისი არსებობის



**როქსანა- Исполнительница танцев народов мира. Хореограф-постановщик, педагог. Участник различных национальных конкурсов, международных фестивалей. В репертуаре артистки экзотические шоу-постановки с тяжелыми змеями, с огнем. Отдает предпочтение номерам в стиле Фьюжи. Танцевальная карьера началась с 6 лет и по сей день не изменяет своей любви к искусству танца.**





# „კავკასია-2016“-ის საორგანიზაციო კომიტეტი:




ლავში (რეზო) ჯანიშვილი – კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი



ოლეგ ლავაშვილი – კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი



ზაურ ლაშიშვილი – კავშირის თავმჯდომარის მოადგილე



იური კორაძე – კავშირის თავმჯდომარის მოადგილე




კახაშერ მარკოიშვილი – კავშირის თავმჯდომარის მოადგილე



მურმან გამისონია – პასუხისმგებელი მდივანი-ფინანსური მენეჯერი



გიორგი გრძელიშვილი – კავშირის საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე



გელა ჯანიშვილი – საფესტივალო და მასობრივი ღონისძიებების ორგანიზების მთავარი მენეჯერი



მანანა ტერიძე – კანცელარიის გამგე



მანანა უშიკიშვილი – თავმჯდომარის თანაშემწე



მამუკა გამისონია – მენეჯერი



ზაზა მყავანძე – ეროვნული რენტრის დირექტორი

## ტრადიციის მემკვიდრე

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირში, რომელიც თავის მოღვაწეობას 2010 წლიდან, მისი ხელახალი დაფუძნებისა და აღდგენა-აღორძინების პერიოდშიდან ახორციელებს, მყარ ტრადიციად ჩამოყალიბდა ზაფხულის პერიოდში, კერძოდ 1-10 ივლისს, საერთაშორისო მასშტაბის ქორეოგრაფიული ფესტივალის გამართვის ფაქტი. ფესტივალს სახელწოდებად შერჩეული აქვს „კავკასია-2011, 2012“... და ა.შ. ამჯერად „კავკასია 2016“-ის რიგი დადგა.

ბუნებრივია, ჩვენში არაფერია აქვს იმის ამბიციის, რომ ამგვარი იდეა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფა, მხოლო-

და, კავშირის ადმინისტრაციაში მოღვაწე დღევანდელ სპეციალისტთა გამონაკონი თუ მიგნება იყოს. საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ფესტივალები კარგა ხანია ტარდება და თანაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასეთი ტიპის ღონისძიებები ტარდებოდა ჩვენამდე, ტარდება დღესაც და სამომავლოდაც უთუოდ გაიმართება სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. სხვადასხვა ქვეყნის, ასევე თუნდაც ჩვენივე სამშობლოს ცალკეულ კუთხეებში მოქმედი ასობით საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლი, მათი ხელმძღვანელები და რიგითი წევრები სწორედ ამ ტი-

პის ღონისძიებებზე ხედებიან ერთმანეთს. ისინი ეცნობიან მუშაობის განსხვავებულ მეთოდებს, სტილის თავისებურებებს, სწავლობენ და მდიდრდებიან ერთმანეთისგან. ეს ფაქტი უდაოდ დადებითი მოვლენაა და მისი დადებითი შედეგების დაუნახაობა სწორი არ იქნებოდა. ამასთან არც იმის დაიწყება იქნება, რომ ზოგჯერ მასობრივი ღონისძიებებისადმი ზღვარდაუდებელ სწრაფვას უარყოფითი შედეგებიც მოსდევს. ამჯერად, ამ საზეიმო დღეებში ნეგატიურ მოვლენებზე ყურადღების გამახვილება იქნებ სასურველი არც კი იყოს, თუმცა ორიოდ საკითხის შესახებ მინც უნდა ითქვას. პირველი მათ

შორის ისაა, რომ აშკარად გამოიკვეთა რეპერტუარის სიღარიბის პრობლემა, რის გამოც ბევრი საბავშვო და ახალგაზრდული ანსამბლი მეტისმეტად დაემგვანა ერთმანეთს. აშკარად იგრძნობა აზროვნებისა და შემოქმედებითი გაქანების დეფიციტი. ორიოდ ქორეოგრაფის გარდა უმეტესობა წლიდან წლამდე ერთი და იგივე ცეკვების ჩვენებით გადის ფონს. არის მეორე საკითხიც, რომელზედაც არაერთხელ ითქვა, თუმცა პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება. საქმე ისაა, რომ ჩვენში უბრალოდ არ არსებობს საბავშვო ქორეოგრაფიული რეპერტუარი და ამიტომ პატარები გულმოდგინედ იმეორებენ დიდი აკადემიური ანსამბლების რეპერტუარს. წლევანდელ ჩვენს ფესტივალზე, რომელსაც როგორც უკვე ითქვა, „კავკასია-2016“ ჰქვია, ძალიან ბევრ ანსამბლს ველოდებით, მათ

შორის უცხოეთის ქვეყნებიდან. დავიტოვებთ იმის იმედს, რომ აღნიშნული ფართომასშტაბიანი ღონისძიება ახალი იდეების, ახალი ორიგინალური მიდგომების, გამოჩენისა და სარეპერტუარო-შემოქმედებითი პოლიტიკის განახლების ეტაპი იქნება. ქორეოგრაფთა კავშირის სახელით და პირადად კეთილგანწყობით მეც სიამოვნებით მივესალმები ჩვენს ძვირფას ალსაზრდელებს, ახალგაზრდობას, მათ პედაგოგებსა და მშობლებს, ქორეოგრაფიული ხელოვნების ყველა მოყვარულს. ახალ-ახალ წარმატებებს, სიკეთესა და ბედნიერებას გისურვებთ ძვირფასო მეგობრებო!

**მურმან გამისონია**  
ქორეოგრაფთა კავშირის  
პასუხისმგებელი მდივანი



2 83.

დასასრული

თუ ეს პროცესი სწორი პედაგოგიური პრინციპებითა და მეთოდ-საშუალებებზე დაყრდნობით ხორციელდება.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმ დიდი პრაქტიკული გამოცდილებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დაგროვდა ქორეოგრაფიული ხელოვნების სწავლების სფეროში, მათი თეორიული განვითარების თვალსაზრისით სრულიად შეუწყნარებელი ვითარება სუფევს. ქართველ პედაგოგ-მკვლევართა შორის ჯერჯერობით არავის უფიქრია ქორეოგრაფიული ხელოვნების სწავლების ფუნდამენტალური თეორიის შექმნა, არ დანერგა არცერთი სერიოზული მონოგრაფია, არ არის დაცული დისერტაცია აღნიშნულ საკითხებზე. დღემდე შექმნილია მხოლოდ რამდენიმე თხელტანიანი ბროშურა, რომელთა დიპაზონი მეთოდური რეკომენდაციებისა თუ მითითებების დონეს არ სცილდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დადგა დრო სერიოზულად ვიფიქროთ აღნიშნული ნაკლის გამოსწორებაზე.

ამჯერად აღნიშნულ საკითხებში უფრო მეტად ჩაღრმავების აუცილებლობა არ არის. თუმცა ვთვლით, რომ მსჯელობის ობიექტის შესახებ აზრგაზიარების სათანადოდ კოორდინაციისათვის და ამთავითვე სწორი მიმართულების აღებისათვის კარგი იქნებოდა ზოგიერთი საკითხის, მათ შორის ძირითადი ტერმინოლოგიური ორინტირების გამოკვლევა. ეს საკითხი უშუალო კავშირშია წინამდებარე ნიგნის თემასთან და საერთო პათოსთან.

დავინწყით უმთავრესით. კერძოდ, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საჭიროა შეიქმნას ქორეოგრაფიული აღზრდის თეორია. როგორ უნდა განისაზღვროს მოკლედ მისი ძირითადი თეორიული და პრაქტიკული პარამეტრები?

ჩვენი აზრით ქორეოგრაფიული აღზრდის თეორია უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მეცნიერული ცოდნისა და ცნებების სისტემა საცეკვაო ხელოვნების საშუალებით ახალგაზრდობის ქორეოგრაფიული განვითარების, ესთეტიკური გრძნობების, წარმოდგენების, უნარ-ჩვევების ფორმირების პროცესების მართვის კანონზომიერებათა შესახებ.

ქორეოგრაფიული აღზრდის პროცესის თეორიული გაგება, როგორც ცოდნის სისტემა წარმოადგენს ესთეტიკური აღზრდის თეორიისა და აქედან პედაგოგიის მეცნიერების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს.

მიგვაჩნია, რომ პედაგოგიის მეცნიერებაში, კერძოდ, ესთეტიკური აღზრდის თეორიაში უკვე მოქმედი ცნებების (მუსიკალური აღზრდა, მხატვრული განვითარება და ა.შ.) გვერდით უნდა დამკვიდრდეს და მიმოქცევაში შემოვიდეს ტერმინი „ქორეოგრაფიული აღზრდა“ (შესაბამისად „ქორეოგრაფიული განათლება“, „ქორეოგრაფიული განვითარება“ და ა.შ.). დღემდე ჩვენთვის ხელმისაწვდომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტერმინები არ გამოიყენება, თუმცა ზეპირ მეტყველებაში მათ ხშირად ხმარობენ. აქ საქმე, ბუნებრივია, მარტო ტერმინოლოგიური სიცხადეში როდია. მეცნიერული პოზიციიდან აუცილებლად საჭიროა მათი შინაარსობრივ-სემანტიკური დატვირთვის ლოკალიზება და გაშიფრვა. მომდევ-

ნო ეტაპზე აუცილებელი იქნება „ქორეოგრაფიული აღზრდის“, როგორც პედაგოგიური პროცესის მეცნიერული და მერე სამუშაო შინაარსის განსაზღვრა. ერთი სიტყვით, საჭიროა „ქორეოგრაფიული აღზრდის“, როგორც პედაგოგიური მეცნიერების ერთი ნაწილის მეცნიერულ-თეორიული დაფუძნება. იქნებ ეს საქმე სხვა, რომელიმე ქვეყნებისა თუ ხალხებისათვის გავლილი ეტაპი იყოს, მაგრამ ჩვენში, როგორც ითქვა, მისთვის ჯერჯერობით ხელი არავის მოუკიდია. არადა საქმე ფრიად საშუაია. თავისი მასობრიობით ქორეოგრაფიული წრეების, სტუდიების, ჯგუფების მუშაობის პრაქტიკა, ჩვენში, ალბათ მხოლოდ სპორტულ-ფიზიკური აღზრდის სისტემას თუ ჩამოუვარდება. ქალაქების პირობებში (ბევრგან სოფლადაც) იშვიათია მოზარდი, რომელსაც რამდენიმე წელი მაინც არ გაუტარებია ქორეოგრაფიულ ჯგუფებში, წრეებში, სტუდიებში, ანსამბლებში... ასეთი მასობრიობით გამორჩეული საქმე კი შეუძლებელია მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე დარჩეს.

ქორეოგრაფიული აღზრდის შინაარსი საკუთრივ პედაგოგიის მეცნიერების გარდა უნდა დაეფუძნოს, უფრო ზუსტად უნდა იყენებდეს სხვადასხვა მეცნიერებათა მონაცემებს, მათ შორისაა:

**კულტუროლოგია** – მეცნიერება კულტურის თეორიისა და ისტორიის, სოციალური ურთიერთობების პროცესში კულტურის გარდამქმნელი როლის თაობაზე.

**ქორეოლოგია** – მეცნიერება ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიის, მისი სახეობრივ-ემოციური, პლასტიკური ბუნების, აგრეთვე ხელოვნების ამ დარგის განვითარების ისტორიის შესახებ.

**ფიზიოლოგია** – რომელიც გვა-

ძლევს აუცილებელ ცოდნას სასიცოცხლო პროცესების დინამიკის, ცოცხალი ორგანიზმის, როგორც მთლიანის და მისი ორგანოების, ქსოვილების, უჯრედებისა და უჯრედთა სტრუქტურული ელემენტების, მათში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ასაკობრივი ფიზიოლოგია, რომელიც იკვლევს ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციების ჩამოყალიბება-განვითარების საკითხებს ბავშვის ონტოგენეზის ცალკეულ საფეხურზე.

**ფსიქოლოგია** – კერძოდ პედაგოგიური ფსიქოლოგია, რომელიც გვეხმარება განვსაზღვროთ და გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ასაკობრივი თუ ინდივიდუალური თავისებურებები, მათზე ზემოქმედების ოპტიმალური გზა-საშუალებები.

ამრიგად, სხვადასხვა მეცნიერებათა მონაცემები საშუალებას მოგვცემს ერთმანეთს შევეთანხმოთ ყველა არსობრივი პარამეტრი და ამით განვსაზღვროთ ქორეოგრაფიული აღზრდის თეორიის საფუძვლები. მომდევნო ეტაპზე ამას დაემატება ის აუცილებელი ცოდნა, რომელიც გამომდინარეობს საკუთრივ საცეკვაო ხელოვნების სპეციფიკიდან (რიტმიკა, მუსიკალური მასალა, სასცენო მოძრაობა, ცეკვის ნახაზი და მრავალი სხვა) და ამით შეიქმნება თეორიული კურსის ერთიანი სისტემური სახე. უმთავრესი რაც ამ დროს უნდა გავითვალისწინოთ ისაა, რომ მეცნიერული თვალთახედვით ქორეოგრაფიული აღზრდა საერთო აღზრდის ერთიანი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტია და ამიტომაც, მას უნდა ახასიათებდეს პედაგოგიური პროცესის ყველა ზოგადი ნიშანი.

ხოლო რაც შეეხება იმ სპეციფიკურ ნიშნებს, რომელიც მას სხვებისაგან გამორჩევს ასეთად უნდა მივიჩნიოთ ადამიანის რიტმულ-მოძრაობითი ჩვევების ჩამოყალიბება, ფიზიკური თვისებებისა და ესთეტიკურ-გრძნობადი სამყაროს განვითარება.

ქორეოგრაფიული აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნორმ მოცეკვავეთა თაობებში სასცენოდ, საკონცერტოდ გამოსვლის მოთხოვნების ჩამოყალიბებას და მისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ფორმირებას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენში უკვე ფეხმოკიდებული და ფართოდ გავრცელებული კონკურს-ფესტივალები, საერთაშორისო თუ ადგილობრივი მასშტაბის ღონისძიებები, დამკვიდრებული წესის ფარგლებში ჩვენში მოქმედი საბავშვო თუ ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლები ამ ტიპის ღონისძიებების მუდმივი მონაწილენი არიან. ეს მოვლენა, ბუნებრივია, თავის წინადასაშუალებებს, ოღონდ საჭიროა ზომიერება, ტაქტი და მიზანმიმართული აქტივობა, რათა არ გავცდეთ პედაგოგიური მიზანშეწონილების ფარგლებს და წესად არ ვაქციოთ თვითმიზნური, ხშირად არაჯანსაღი მოქმედებები.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდება ფოლკლორული წყაროებიდან ამოზრდილი სასცენოდ ნაჩვენები ქორეოგრაფია ადამიანის ფიზიკური და სულიერი განვითარების საფუძველი. ამაზე უკეთეს მიზანს კი საზოგადოება, უბრალოდ, ვერც მიაკვლევს და ვერც სამოქმედო ორიენტირებას დასახავს.

ოლეგ ალავიძე,  
პროფესორი

# ჭიჭიკო ბოხუას ხსოვნას

ქართველ ქორეოგრაფთა დიდ ოჯახს კიდევ ერთი ღირსეული კაცი, კარგი პროფესიონალი და ჰუმანური თვისებებით გამორჩეული პიროვნება ჭიჭიკო ბოხუა გამოაკლდა.

საცეკვაო ხელოვნების ანბანს ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილკაცი მაშინდელ პიონერთა სასახლეში, გამოჩენილ პედაგოგთან ანტონ ჩიხლაძესთან გაეცნო. მერე კი იყო კონს მანჯგალაძესთან, ავთანდილ თათარაძესთან, თამარ ნადარეიშვილთან და კაკო ექვთიმიშვილთან მონაფეოების წლები.

მონდომებული, მიზანდასახული ახალგაზრდისათვის დამახასიათებელი მუყაითობისა და კეთილსინდისიერების მეოხებით ჭიჭიკო ბოხუა სწავლის პარალელურად უკვე პრაქტიკულ ქორეოგრაფიულ საქმიანობასაც ეწეოდა. ჯერ სხვადასხვა ანსამბლში ცეკვავდა, მერე კი თვითონვე უძღვებოდა ცალკეული კოლექტივების მუშაობას. 1969 წლიდან ახალგაზრდა ხელოვანი მაშინდელ ლენინგრადში, ხელოვნების ინსტიტუტის ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე აგრძელებს სწავლას, 1975 წლიდან კი უკვე მაშინდელი განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტში ეწევა ქორეოგრაფ-მეთოდისტის საქმიანობას. ამის პარალელურად იყო არაერთი საბავშვო ანსამბლის ხელმძღვანელი, ქართულ ცეკვას ასწავლიდა უკრაინის კარპატებში, თვითონაც სწავლობდა და ნერგავდა კიდევაც ბერძნულ, მოლდავურ, ხორეზმულ, ასევე მსოფლიოს სხვა ხალხთა ცეკვებს.

მისი აღზრდილები დღესაც დიდი სიყ-



ვარულით იგონებენ ბატონი ჭიჭიკოს შეგირდობაში გატარებულ წლებს, ისხევენ უამრავ საინტერესო ფაქტსა და მოვლენას.

სამწუხაროა, რომ დრომ, ვაჟკაცურად გადატანილმა პირადმა სადარდემა, რომელიც პირველყოფისა შვილის გარდაცვალებასთან იყო დაკავშირებული, თავისი ვერაგი საქმე გააკეთა და ცხოვრების წლები შეუმცირა უაღრესად საყვარელ, სითბოთი და სიკეთით გამორჩეულ ღირსეულ მამულიშვილს.

ბატონი ჭიჭიკო ბოხუას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მრავალრიცხოვანი მონაგარის, მონაფეების, მოკეთენათესავეებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს  
ქორეოგრაფთა კავშირი

# ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა !

იმათ საყურადღებოდ, ვისაც მომავალში საკუთარი თავი ქორეოგრაფ-პედაგოგის, დამდგმელ-ქორეოგრაფის, ქორეოგრაფ-რეჟისორის საკმაოდ მძიმე, მაგრამ საინტერესო რთლში წაბმთუდგენია!

ზემთ ჩამთვლილი ბრთფესიები ჩვენში, ტრადიციულად, ბრესტიჟულად ითვლება, რის გამოც მათ დაუფლებას დღესაც ბევრი მიესწრაფვის. აღნიშნული მისწრაფება კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის ბოლოს თბილისის კულტურის ინსტიტუტის, შემდგომში კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბოლოს კი რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ბაზაზე ჯერ დაიწყო, მერე კი საბოლოოდ სახე შეიძინა ქართული ცეკვის დამდგმელ-ქორეოგრაფის აღზრდა-ჩამოყალიბების საქმე. პარალელურად ჩვენში ტრადიციული სახე შეინაჩრუნა ქორეოგრაფთა მოზადების მანამდე აჩსებულმა ფორმამ, რომელიც უმაღლესამდე განათლების სისტემაში აღნიშნული ბრთფილის სპეციალისტებს ამზადებდა. დრომ და მასშტაბებ-

მა ახალი მთხთფენები მთიგანა. აღნიშნულის გამო საქართველოს ქორეოგრაფიის მთლგაქეთა შემოქმედებით კავშირში თავმთყრბილი ძალების შესაძლებლობათა გათვალისწინებით, რომლებიც ინტენსიურად მუშაბთენ პედაგოგ-ქორეოგრაფთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის, გაიხსნა და ფუნქციონირებს ინსტიტუტი, სადაც საგანებოდ ამზადებენ „ქორეოგრაფ-რეჟეტიტორებს“.

სასწავლო კურსი ერთწლიანია, მუშაბს თვითდაფინანსების ბრინციბით და ნელ-ნელა იძენს სტაბილური სასწავლო სტრუქტურის სახეს.

კურსმოსმენილები იღებენ სათანადო დოკუმენტს, დიპლომის სახით.

გებატიჟებით ყველას, ვისაც შემდგომში დამდგმელ-ქორეოგრაფთა და მასთან გათანაბრებული სპეციალობის მიღება, ან უბრალოდ წარმატებული ბრატეჟიკული საქმიანობის გმლას სურს, აუცილებლად გაიბრთ ჩვენს ბაზაზე აჩსებული „ქორეოგრაფ-რეჟეტიტორის“ სასწავლო კურსი.

ინსტიტუტის ადმინისტრაცი



# ოპარ ხუბაევი - პერსონალური პარსკვლავის ღირსეული კანდიდატი



საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი, 11 ივნისს, ქართული ქორეოგრაფიის დღეს, როგორც წესი, ყოველთვის ხელდამშვენებული, იდეებით სავსე და საქმეებით დატვირთული ხვდება. ამანლის 11 ივნისს, თბილისის დიდ სა-



კონცერტო დარბაზში კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების თავყვანისმცემლები. გამართა გრანდიოზული კონცერტი და საქ. დამსახურებული არტისტის, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის კულტურისა და

სპორტის სამსახურის უფროსის, ღირსების ორდენის კავალერის, ლეგენდარული „სუხიშვილების“ ანსამბლის „ოქროს თაობის“ ღირსეული წარმომადგენლისა და ყოფილი სოლისტის, საზოგადო მოღვაწისა და ხალხთა ძმობის ღირსეული წარმომადგენლის, ბატონი ომარ ხუბაევის პერსონალური ვარსკვლავის გახსნა.

ლონისძიება საქართველოში მოქმედ სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლებთან ერთად დამშვენა ვლადიკავკაზის აგრარული უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „გორეცმა“ და ჩრდილოეთ კავკასიის აგროტექნოლოგიური კოლეჯის ნაციონალურმა ცეკვის ანსამბლმა „ყაზბეგმა“. მრავალრიცხოვან მაყურებელს შესანიშნავად წარმოადგინა საცეკვაო ნომრების გარდა, უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ნართებისა“ და პირადად მისი ხელმძღვანელის, ბატონი ომარ ხუბაევის ცეკვამ „სიმდის“ სასცენოდ წარმოდგენილ ვარიანტში.

ბატონ ომარს შემოქმედებითი წარმატებები და ცხოვრებისეული მიღწევები მიულოცეს „სუხიშვილების“ ლეგენდარული

ანსამბლის „ოქროს თაობის“ წარმომადგენლებმა, მოსკოვიდან და ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსულმა დელეგაციებმა, გამომსვლელთა შორის იყო საქართველოს შერიგებისა და რეინტეგრაციის მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით ბატონ ომარს მიენიჭა „ხელოვნების ქურუმი“ ნოდება.

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარემ, პროფესორმა რეზო ჭანიშვილმა და საუკუნის მოცეკვავემ ომარ მხეიძემ ომარ ხუბაევი დააჯილდოვეს „საქართველოს ქორეოგრაფიის რანდის“ ორდენით.

მადლიერების გრძნობით უნდა აღინიშნოს საქართველოს კულტურის პალატისა და მისი პრეზიდენტის ბატონი დავით ოქიტაშვილის დამსახურება, რომელმაც ყველაფერი გააკეთა პერსონალური ვარსკვლავის გახსნის ღონისძიებისათვის ჭეშმარიტი ძმობის, მეგობრობისა და ზვიმის ელფერის შესაძენად.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების ზვიმი შედგა და ღონისძიება მართლაც რომ მაღალი რანგის გამოვი-



და, რომელიც ლოგიკურად დაავიჯინა ვარსკვლავის გახსნის ცერემონიაში და საზეიმო ფოიერვერკებმა.

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი და გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ გულითადად ულოცავს ბატონ ომარს ამ უმნიშვნელოვანეს დღეს და უსურვებს წინსვლასა და წარმატებებს.



# МЕЖДУНАРОДНЫЙ ФОЛКЛОРНЫЙ ФЕСТИВАЛЬ «КОЛХА 2016»



10-11 апреля 2016 года в большом зале дома культуры г. Хоби, под эгидом Национального центра Грузинской Хореографии ( директор Заза Мжаванадзе) был проведен I международный фольклорный фестиваль «Колха 2016».

Спонсор и организатор фестиваля заместитель директора Национального центра Грузинской Хореографии в менгрельском регионе, хореограф и руководитель детского хореографического ансамбля «Колха» Каха Читаиа.

Цель фестиваля развитие, популяризация и сохранение аутентичности национального фольклора, знакомство и сближение фольклорных ансамблей разных стран, установить и развить дружеские отношения и чувство толерантности у участников

фестиваля.

На фестивале были показаны традиционные национальные танцы. Участники были награждены призами и ценными подарками.

На фестивале присутствовали глава местной администрации, председатель местного городского совета, гости и представители всего региона.

Глава муниципалитета г. Хоби Гоча Каджая, заместитель главы муниципалитета г. Хоби Махаре Чокораи и председатель горсовета Эдишер Джобава принимали гостей из

Украины: представителя администрации г.Уман г-жу Натали Лобиченко и хореографа Викторию Главчак. На приёме также присутствовали начальник отдела культуры, образования, сохранение памятников культуры, спорта и молодежи Розета Шулаиа, заместитель директора Национального центра Грузинской Хореографии Каха Читаиа.

Встреча прошла в тёплой, дружеской обстановке. Были затронуты темы о дальнейшем сотрудничестве и развитии отношении в сфере культуры, просвещения и национальной хореографии.

Гости из г. Уман руководителем администрации г. Хоби передали приветствие и приглашение от

мэра г. Уман, а представители местной власти и организаторы фестиваля передали гостям памятные подарки.

В конце фестиваля глава муниципалитета г.Хоби поблагодарил организатора фестиваля Кахе Читаиа за проведение столь масштабного мероприятия, отметил его высокое творческое и эстетичное значение, который в дальнейшем послужит началом теплых отношений и творческого сотрудничества.

Заместитель директора Национального центра Грузинской Хореографии в менгрельском регионе Каха Читаиа поблагодарил Председателя Союза Хореографов Грузии г-на Резо Чанишвили и аппарат союза хореографов за поддержку в проведении фестиваля, отметил заслугу своего воспитанника и прекрасного танцора, студента 3 курса университета им. Гр. Робакидзе Бека Кавтарадзе, с благодарностью подчеркнул участие в фестивале своих коллег хореографов: Манучара Чаава, Ираклии Тиркиа, Ника Гурцкаиа, также руководителям и членам ансамблей за участие в фестивале.

В фестивале принимали участие: 1. Хореографический ансамбль «Мартве» (руководитель Ромео Булиа, хореограф Мака Гвичиа);

2. Ансамбль «Феникс» (руководитель Гурген Хоравა); 3. Ансамбль «Колха» (руководитель Иракли Тиркиа); 4. Ансамбль «Колхи» (руководитель Стемур Гугунава, хореограф Гиорго Коршиа); 5. Ансамбль «Лиле» (руководитель Маиа Кварцхава); 6. Ансамбль «Аиси» (руководитель Джумбер Кварцхава); 7. Хореографический ансамбль из г.Хоби «Одабаде» (руководитель Манучар Чаава);



8. Группа народных инструментов (руководитель Тенгиз Читаиа); 9. Хор «Колхети» при культурном центре г. Хоби (руководитель Нугзар Зарандиа); 10. из Украины хореографические ансамбли «Крок-перед» и «Дружки-подружки» (хореограф Виктория мартяинова).

## საქართველოს ქორეოგრაფია

ISSN 2346-8041



მის: თბილისი, ც. დადიანის ქ.№26

ტელ.: 599 90 75 65

საქართველოს ქორეოგრაფია; www.qor.ge

## სარედაქციო საბჭო:

რეზო ბალანჩივაძე  
რეზო ჭანიშვილი,  
იური ტორაძე,  
თენგიზ უთმელიძე,  
უჩა დვალისვილი,  
ზაურ ლაზიშვილი,  
მურმან გამოსონია.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი:  
ოლეგ ალავიძე

პასუხისმგებელი მდივანი:  
მანანა უშიკიშვილი

თანადაფინანსებელი –  
ქართული ქორეოგრაფიის  
ეროვნული ცენტრი:  
ზაზა მჭავანაძე